დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 4 ივლისის N6 სხდომისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 7 ივლისის N3 სხდომის გადაწყვეტილებით, წესში შესულია ცვლილებები აკადემიური საბჭოს 2023 წლის 1-ელი აგვისტოს N8 სხდომისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 19 სექტემბრის N3 სხდომის გადაწყვეტილებით

მკვლევართა სამსახურში მიღების წესი

1. კვლევითი პერსონალი

1.1. უნივერსიტეტის კვლევითი პერსონალი შედგება მკვლევარებისაგან. მკვლევრების შემადგენლობას მიეკუთვნება მკვლევარი, ასოცირებული მკვლევარი და ასისტენტ მკვლევარი.

ა)მკვლევრის პოზიციის დაკავება შეუძლია დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

ბ)ასოცირებული მკვლევრის პოზიციის დაკავება შეუძლია დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც აქვს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება;

გ)ასისტენტ-მკვლევარის პოზიციის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს სულ მცირე მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

1.2. პუნქტის ა), ბ) და გ) ქვეპუნტებით დადგენილი მოთხოვნების გარდა შესაბამისი ერთეულის ხელმძღვანელს შეუძლია უფლებამოსილ პირებთან შეთანხმებით თვითონ განსაზღვროს პოზიციისთვის საჭირო დამატებითი ან/და განსხვავებული მოთხოვნები.

1.3.მკვლევარები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სამეცნიერო კვლევებს და თუ შრომითი ხელშეკრულებითაა განსაზღვრული, აგრეთვე მონაწილეობენ სასწავლო პროცესის წარმართვაში;

1.4.მკვლევართა სამსახურში მიღება ხორციელდება ორი გზით:

ა) ღია კონკურსის წესით;

ბ) ფაკულტეტის/სკოლის/ინსტიტუტის/ცენტრის/ლაბორატორიის ხელმძღვანელის წარდგინებით.

2. სტუმარი მკვლევარი

2.1. სტუმარ მკვლევრად გარკვეული დროით შესაძლებელია მოწვეულ იქნას სხვა საგანმანათლებლო/კვლევით დაწესებულებაში დასაქმებული ან შესაბამისი პროფესიული გამოცდილების/კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც წარმოადგენს სტუმარ მკვლევრად ყოფნის პერიოდში უნივერსიტეტში შესასრულებელ კვლევითი აქტივობის გეგმას.

2.2. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის, ინსტიტუტის/ცენტრის/ლაბორატორიის ხელმძღვანელი და/ან უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, როგორც სტუმარი მკვლევარის ხელმძღვანელი პირი, შუამდგომლობით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს. წარდგინება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სტუმარი მკვლევარის მოწვევის ვადებისა და შესასრულებელი აქტივობების შესახებ.

3. ღია კონკურსის წესით მკვლევართა სამსახურში მიღება

3.1. ფაკულტეტის/სკოლის, ინსტიტუტის/ცენტრის/ლაბორატორიის ხელმძღვანელი გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი კვლევითი პროექტის ფარგლებში მკვლევართა ღია კონკურსის წესით შერჩევის თაობაზე;

3.2. ფაკულტეტის/სკოლის, ინსტიტუტის/ცენტრის/ლაბორატორიის ხელმძღვანელი უფლებამოსილ პირებთან შეთანხმებით განსაზღვრავს საკონკურსო პირობებს, მკვლევართა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის/სკოლის დეკანს;

3.3. ფაკულტეტის/სკოლის დეკანის და ინსტიტუტის/ცენტრის/ლაბორატორიის დირექტორის გადაწყვეტილება კონკურსის გამოცხადების თაობაზე და საკონკურსო პირობები, ასევე მკვლევართა პერსონალის მიღების აუცილებლობის დასაბუთება ეგზავნება რექტორს კონკურსის გამოცხადების თხოვნით;

3.4. რექტორი იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის გამოცხადების შესახებ და გამოსცემს შესაბამის ბრძანებას, რომლითაც ასევე განისაზღვრება საკონკურსო კომისიის შემადგენლობა;

3.5. კონკურის გამოცხადებასა და ჩატარებას ორგანიზებას უკეთებს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;

3.6. კონკურსი შესაძლოა მოიცავდეს ტესტირებას, საბუთების განხილვას, ინტერვიუს და სხვ. ეტაპებს იმის შესაბამისად, თუ რა იქნება განსაზღვრული საკონკურსო პირობებით;

3.7. გადაწყვეტილებას კონკურსის შედეგების შესახებ იღებს საკონკურსო კომისია;

4. ფაკულტეტის/სკოლის/ინსტიტუტის/ცენტრის/ლაბორატორიის ხელმძღვანელის წარდგინებით მკვლევართა სამსახურში მიღება

4.1. ფაკულტეტის/სკოლის/ინსტიტუტის/ცენტრის/ლაბორატორიის ხელმძღვანელს უფლება აქვს წარადგინოს მკვლევართა კანდიდატურები სამსახურში მიღების მიზნით, ღია კონკურსის გარეშე;

4.2. ფაკულტეტის/სკოლის/ინსტიტუტის/ცენტრის/ლაბორატორიის ხელმძღვანელის წარდგინება მკვლევართა პერსონალის სამსახურში მიღებაზე უნდა შეიცავდეს დასაბუთებულ არგუმენტაციას მკვლევართა პერსონალის მიღების, კანდიდატის კვალიფიკაციის/გამოცდილების შესახებ ინფორმაციას დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად.

4.3. ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით მკვლევართა სამსახურში მიღების შემთხვევაში, უნდა არსებობდეს კვლევითი პროექტი, რომელშიც მოიაზრება კანდიდატურა და მისი კვალიფიკაცია და კომპეტენციები, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს კვლევითი პროექტით გათვალისწინებულ მიზნებთან;

4.4. ფაკულტეტის/სკოლის დეკანისა და ინსტიტუტის/ცენტრის/ლაბორატორიის დირექტორის წარდგინებით, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ამოწმებს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას ამ წესით დადგენილ პირობებთან და საბოლოო გადაწყვეტილებას მკვლევართა სამსახურში მიღებაზე იღებს რექტორი.